ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3628998

ნომერი: AR1548782

თარიღი : 20.10.2017

გაცემის თარიღი : 27.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი , ნაკვ.06/016 / ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე ქავთარაძე , ჩიხი N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ნატროშვილი პ/ნ 01008001002
- თბილისი, ი. აბაშიძის 38

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო ობიექტები
  - ლაბორატორია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

# გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 12 ოქტომბრის AR1548782 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.04.029.123) არსებულ მიწის ნაკვეთზე ლაბორატორიის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას გაცნობებთ, რომ 2017 წლის 19 ოქტომბრის №3612453 გადაწყვეტილებით განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და განგესაზღვრათ დამატებითი 30 დღიანი ვადა, რათა წარმოგედგინათ დამატებითი დოკუმენტაცია.

თქვენს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები არ იქნა წარმოდგენილი. სამსახური გაძლევთ ხარვეზის სრულად შევსების შესაძლებლობას 25 სამუშაო დღის ვადაში, კერძოდ: წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი მოიცავს ტერიტორიას, რომელზეც სამსახურის მიერ 2017 წლის 17 ივლისის №3374618 ბრძანებით ლაბორატორიის ასაშენებლად დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ვინაიდან განხორციელდა მიწის ნაკვეთის ფართობის და საკადასტრო მონაცემების ცვლილება უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და განაცხადი ატვირთოთ TAS.GE ელექტრონული განცხადებები – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები-მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და მოითხოვოთ 2017 წლის 17 ივლისის №3374618 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება, განახლებული საკადასტრო გეგმის დამატებით. ცვლილების განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოთ ადმინისტრაციული აქტის მესაკუთრის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ცვლილების განხორციელების თაობაზე და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე შესაძლებელია ადმინისტრაციული აქტის მესაკუთრე/ნაკვეთის მესაკუთრე დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 ოქტომბრის №3612453 გადაწყვეტილების შესაბამისად თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.